სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 აგვისტო, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/160

2026 წლის აგვისტოში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და განხორციელების დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2026 წლის 23 ივლისის №06-01/134 დადგენილების, „ბსუ-ს მიზნობრივი საგრანტო პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ'' ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 12 აგვისტოს №01-02/151 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2026 წლის 20 აგვისტოს №01-02/152 ბრძანებით), „ბსუ-ს მიზნობრივი საგრანტო პროექტების შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 აგვისტოს №01-02/153 ბრძანების, „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შესარჩევი საკონკურსო სააპელაციო კომისიის შექმნის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 21 აგვისტოს №01-02/154 ბრძანების, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის (№4, 24.08.2026 წ.) და სამეცნიერო კვლევების სამსახურის მთავარი სპეციალისტის (სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის)/საკონკურსო კომისიის მდივნის სამსახურებრივი ბარათების (№1092849, 25.08.2026 წ. და №1115825, 31.08.2026 წ.), სააპელაციო კომისიის თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (№1110869, 31.08.2026 წ.) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 12 აგვისტოს №01-02/151 ბრძანების საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებულად გამოვლენილი, **2026 წლის 01 ოქტომბრიდან** განსახორციელებელი **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტები და დაფინანსდეს პროექტების ბიუჯეტების შესაბამისად:**

ა) ინტერდისციპლინური მიმართულებით ბსუ-ს **მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტები:**

1. ინტერდისციპლინური (1.1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების) მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტი** „მდინარე რიონის ზუთხისებრები და მათი კრიტიკული ჰაბიტატები: ეკოლოგიური მდგომარეობის, მძიმე მეტალებით დაბინძურებისა და კონსერვაციის პრიორიტეტების შეფასება“ (საპროექტი განაცხადი, აღწერილობა (გეგმა-გრაფიკით და ბიუჯეტით) და თანდართული დოკუმენტაცია - წინამდებარე დადგენილების **№1 დანართი), პროექტის ხელმძღვანელი** (მენეჯერი) - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის კოლხეთის ტორფნარებისა და წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის **განყოფილების უფროსი** (მთავარი მეცნიერი

თანამშრომელის მონაცემებით) **იზოლდა მაჭუტაძე;** პროექტის ბიუჯეტი - 48 550 ლარი;

2. ინტერდისციპლინური (1.6. ჰუმანიტარული მეცნიერებების) მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტი** „ქალთა ნარატივებში შემონახული აჭარა“ (საპროექტი განაცხადი, აღწერილობა (გეგმა-გრაფიკით და ბიუჯეტით) და თანდართული დოკუმენტაცია - წინამდებარე დადგენილების **№2 დანართი), პროექტის ხელმძღვანელი** (მენეჯერი) - ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპეისტიკის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნანა მაზმიშვილი**; პროექტის ბიუჯეტი - 23 400 ლარი;

3. ინტერდისციპლინური (1.1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების; 1.2. ინჟინერია და ტექნოლოგიების; 1.4. აგრარული მეცნიერებების) მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი პროექტი** „მცენარეული ანტიმიკრობული კომპოზიტის შექმნა, ბიოაქტივობისა და მოქმედების სპექტრის კვლევა და გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება“ (საპროექტი განაცხადი, აღწერილობა (გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტით) და თანდართული დოკუმენტაცია - **წინამდებარე დადგენილების №3 დანართი), პროექტის ხელმძღვანელი** (მენეჯერი) - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნარგული ასანიძე,** პროექტის ბიუჯეტი - 50 000 ლარი;

ბ) დარგობრივი მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტები:**

4. დარგობრივი (1.1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების) მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი:** „სასრული ჯაჭვებით განსაზღვრული BxD ნახევარჯგუფების წარმომქმნელი სიმრავლეები“ (საპროექტი განაცხადი, აღწერილობა (გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტით) და თანდართული დოკუმენტაცია - წინამდებარე დადგენილების **№4 დანართი), პროექტის ხელმძღვანელი** (მენეჯერი) - ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის მათემატიკის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ომარ გივრაძე;** პროექტის ბიუჯეტი - 19 960 ლარი**;**

5. დარგობრივი (1.1. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და 1.4. აგრარული მეცნიერებების) მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი:** „ბოლო პერიოდში გავრცელებულ უცხო წარმოშობის მცენარეთა (Andropogon virginicus L.,Sicyos angulatus L., Solidago canadensis L., Verbena brasiliensis Vell., Youngia japonica (L.) DC.) ინვაზიური და სარეველა ბუნების შესწავლა აჭარისა და გურიის ფლორისტულ რაიონებში - დარღვეულ ჰაბიტატებსა და აგრო ლანდშაფტებში“ (საპროექტი განაცხადი, აღწერილობა (გეგმა-გრაფიკით და ბიუჯეტით) და თანდართული დოკუმენტაცია - წინამდებარე დადგენილების **№5 დანართი), პროექტის ხელმძღვანელი** (მენეჯერი) - ბსუ-ს ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების ინსტიტუტის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და კონსერვაციის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ირაკლი მიქელაძე,** პროექტის ბიუჯეტი - 44 600 ლარი;

6. დარგობრივი (1.3. სამედიცინო და ჯანმრთელობის მეცნიერებების) მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი:** „კოლორექტული კიბოს ეროვნული სკრინინგი დღეს და ხვალ: ეფექტურობის გაუმჯობესების შესაძლებლობების შესწავლა და პროგრამაში კტ კოლონოგრაფიის პოტენციური როლის შეფასება“ (საპროექტი განაცხადი, აღწერილობა (გეგმა-გრაფიკით და ბიუჯეტით) და თანდართული დოკუმენტაცია - წინამდებარე დადგენილების **№6 დანართი), პროექტის**

ხელმძღვანელი (მენეჯერი) - ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი **დავით ცეცხლაძე**, პროექტის ბიუჯეტი - 46 500 ლარი;

7. დარგობრივი (1.5. სოციალური მეცნიერებების) მიმართულებით **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტი:** „ჭკვიანი მენეჯმენტი და სოციალური ინოვაცია, მდგრადი და კონკურენტუნარიანი რეგიონებისთვის“ (საპროექტი განაცხადი, აღწერილობა (გეგმა-გრაფიკი და ბიუჯეტით) და თანდართული დოკუმენტაცია - წინამდებარე დადგენილების **№7 დანართი), პროექტის ხელმძღვანელი** (მენეჯერი) - ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი **ნანული მახარაძე**, ბიუჯეტი - 39 000 ლარი.

2. ეთხოვოს ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს „ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების შერჩევისა და განხორციელების დებულების“ შესაბამისად ამ დადგენილებით დამტკიცებული გამარჯვებული ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების (წინამდებარე დადგენილების №1-7 დანართები) განხორციელების მიზნით, ამავე საგრანტო პროექტების შინაარსის (აღწერილობა, კალენდარული გეგმა, ბიუჯეტი, პერსონალის თანხმობები) გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემა და შესაბამის პერსონალთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

3. კონკურსში გამარჯვებული **ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების ხელმძღვანელებს** (იზოლდა მაჭუტაძე; ნანა მაზმიშვილი; ნარგული ასანიძე; ომარ გივრაძე; ირაკლი მიქელაძე; დავით ცეცხლაძე; ნანული მახარაძე) **დაევალოს** არაუგვიანეს 2026 წლის **02 სექტემბრისა წარუდგინოს** ბსუ-ს რექტორს სამსახურებრივი ბარათი, პროექტში ჩასართავი პერსონალის და სტუდენტების შესახებ (დამტკიცებული პროექტების შესაბამისად შემდეგი ინფორმაცია: სახელი, გვარი, პოზიცია პროექტში, სამუშაო აღწერილობა/შესასრულებელი ფუნქციები, შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა და გასაცემი შრომის ანაზღაურების ოდენობა), ხოლო **ბსუ-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა უზრუნველყოს** შესაბამის პირებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება.

4. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, წინამდებარე დადგენილებით დამტკიცებული ბსუ-ს მიზნობრივი კვლევითი საგრანტო პროექტების ხელმძღვანელებს (იზოლდა მაჭუტაძე; ნანა მაზმიშვილი; ნარგული ასანიძე; ომარ გივრაძე; ირაკლი მიქელაძე; დავით ცეცხლაძე; ნანული მახარაძე), ბსუ-ს ინსტიტუტებს და ფაკულტეტებს.

6. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

7. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არაშიძე**